ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №8123014

ნომერი: AR11156520

თარიღი : 13.08.2026

გაცემის თარიღი : 15.10.2026

გაცნობის თარიღი : 17.11.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თვალჭრელიძე , N 11;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გოჩა გიორგაძე პ/ნ 01011004717
- თბილისი ი.ჭავჭავაძის II ჩიხი N 4/8

ორგანიზაცია:

- შპს დოესი კოდი: 406233320

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 17 დეკემბრის №7744493 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 13 აგვისტოს №AR11156520 განცხადებით მომართა გოჩა გიორგაძემ და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის 17 დეკემბრის №7744493 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 17 დეკემბრის №7744493 ბრძანებით, №01.19.18.001.009 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა ავტოსამრეცხაოს არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაციის ნომრები: 882026043368; მომზადების თარიღი: 22/01/2026წ.) თანახმად, №01.19.18.001.009 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ,,დოესი“ (ს/ნ 406233320) მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით (განცხადების რეგისტრაციის/მომზადების ნომერი: B26385432, მომზადების თარიღი: 25/06/2026წ.) თანახმად, შპს ,,დოესი“ -ს დირექტორს წარმოადგენს გოჩა გიორგაძე, (პ/ნ 01011004717 ერთპიროვნული). შესაბამისად, 2026 წლის 13 აგვისტოს №AR11156520 განცხადებით წარმოდგენილი მინდობილობით დგინდება განმცხადებლის - გოჩა გიორგაძის უფლებამოსილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ამავე მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილების მიხედვით, ძალადაკარგულად გამოცხადება ნიშნავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტას მისი ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას. ამდენად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი და სამსახურში დაცული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ძალადაკარგულად გამოაცხადოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1.დაკმაყოფილდეს გოჩა გიორგაძის 2026 წლის 13 აგვისტოს №AR11156520 განცხადება.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 17 დეკემბრის №7744493 ბრძანება.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.